საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6418/01
25/06/2021

6418-01-2-202106251044

შპს „იმგეს“
მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა
ელ ფოსტა: vardo_futkaradze@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 7 ივნისის N9902 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შპს „იმგეს“ წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში გამხსნელად გამოყენებული იქნება მხოლოდ წყალი (გვ. 57). ამასთან, აღნიშნულია რომ საწარმოს ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ნედლეული, FILM AJANI, რომელიც წარმოადგენს შემაერთებელ საშუალებას, არ იხსნება წყალში, თუმცა იხსნება არომატულ და აკრილიკის გამხსნელებში (გვ. 54). აღსანიშნავია, რომ არომატული გამხსნელების უმეტესობა ტოქსიკურია. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული გამხსნელის სახეობა და რაოდენობა, ასევე აკრილიკის გამხსნელის შემადგენლობა, გამხსნელის განთავსების, შესაბამისი ტექნოლოგიური ციკლის და ზემოქმედების (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული შესაბამისი აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) შესახებ ინფორმაცია) საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი წარმოებაში გამოსაყენებელი ნედლეულის დაზუსტებული ლათინური და ქართული სახელწოდებები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია 100 $მ^2$ ფართობის შენობაში (ს/კ 05.32.08.913). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა წარმოადგენს ირინა იმნაძის და მემედ იაკობაძის საკუთრებას, ხოლო ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რა სახით ხდება შპს ,,იმგეს” მიერ აღნიშნული ტერიტორიის გამოყენება, ამასთან არ არის წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან სხვა;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ საწარმოს გენ-გეგმაზე (დან.1. საწარმოს გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით; გვ. 119) დატანილია ორი, ერთმანეთისგან დაშორებული სალექარი. ამასთან, სიტუაციური სქემა და საწარმოს გენ-გეგმა არ

შეესაბამება ერთმანეთს. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში მოცემული სიტუაციური სქემის თანახმად, საწყობის განთავსების ადგილი მითითებულია საპროექტო ტერიტორიის გარეთ, ირინა იმნაძისა და მემედ იაკობიძის საკუთრებაში არსებულ სხვა ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 05.32.08.736. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს სალექარების რაოდენობა, საწყობის განთავსების ადგილი და საწარმოს გენ-გეგმა; აღნიშნული ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანდართულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ);

- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოში დამონტაჟდება თურქული წარმოების ჰიდრავლიკური მიქსერი (გვ 57). ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 9 ივლისს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ჰიდრავლიკური მიქსერი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საღებავის დამზადება. შესაბამისად დადგინდა, რომ შპს „იმგე“ საქმიანობას ახორციელებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში არსებული მდგომარეობის შესაბამისად;
- გარდა ამისა, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 12 აგვისტოს განხორციელდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის N109-ში (ს/კ 05.32.08.912) ფიზიკური პირი ჯემალ იაკობაძის საღებავების საწარმოს დათვალიერება. ფიზიკური პირი ჯემალ იაკობაძის საღებავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 3 მაისის N2-380 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება. ინსპექტირების შედეგად აღნიშნულ მისამართზე ფიზიკური პირი ჯემალ იაკობაძის საწარმოს არსებობა და საქმიანობის განხორციელება არ დადასტურებულა, თუმცა დადგინდა, რომ ფრიდონ ხალვაშის N109-ში ფაქტიურად ფუნქციონირებს შპს „იმგე“. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „იმგეს“ საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა-ში, 100 მ^2 ფართობის შენობაში (ს/კ 05.32.08.913), შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს შპს „იმგეს“ საწარმოს მდებარეობა.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე